ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი
N1
(გაერთიანებული ქ.თბილისის საკრებულოს ყველა კომისიასთან)

ქ. თბილისი; 17 ნოემბერი 2017 წ. 13:00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

იურიდიულ საკითხთა კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)
ვახტანგ შაქარიშვილი
თინათინ ნიბლოშვილი
დავით ჭელიძე
გიორგი ჩაკვეტაძე
ავთანდილ ცინცაძე
ქეთევან მამულაშვილი
ლილე ლიპარტელიანი

მოწვეული პირები:

თანხმობის მისაცემად წარმოდგენილი მთავრობის შემადგენლობა;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე საკრებულოს თავმჯდომარის მიერ ასარჩევად წარმოდგენილი კანდიდატი - **ბადრი** გიორგიძე.

სხდომის თავმჯდომარე:

ლევან ჟორჟოლიანი
იურიდიულ საკითხთა კომისიის
თავმჯდომარე

დღის წესრიგი

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილედ (ვიცე-მერად) **ირაკლი ხმალაძის** დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილედ **მაია ბითაძის** დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილედ **ირაკლი ბენდელიანის** დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილედ **გიგა ნიკოლეიშვილის** დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსად **ვლადიმერ ჭიღლაძის** დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსად **გაიოზ თალაკვაძის** დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსად **სერგო ბირკაძის** დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსად **გიორგი ბაგრატიონის** დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსად **სოფიო ხუნწარიას** დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

10. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსად **გივი კუბლაშვილის** დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

11. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსად **მამუკა მუმლაძის** დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

12. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსად **გელა ჩივიაშვილის** დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

13. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსად **გიგა გიგაშვილის** დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

14. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის უფროსად **გიორგი პაპავას** დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

15. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსად **ანდრია ბასილაიას** დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

16. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსად **ირაკლი გვილავას** დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

17. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის უფროსად **ნიკოლოზ ჭონქაძის** დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

18. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს რაიონის გამგებლად **გაიოზ ვასაძის** დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

19. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონის გამგებლად **დავით კირკიტაძის** დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

20. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგებლად **ლევან ჯაფარიძის** დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

21. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის გამგებლად **ნოდარ ტურძელაძის** დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

22. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგებლად **ირმა ზავრადაშვილის** დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

23. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგებლად **ზურაბ ჩიკვილაძის** დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

24. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგებლად **ბექა მიქაუტაძის** დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

25. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ნაძალადევის რაიონის გამგებლად **ირაკლი ხელაძის** დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

26. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის გამგებლად **კახაბერ ლაბუჩიძის** დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

27. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგებლად **დავით კერესელიძის** დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

28. **„ბადრი გიორგიძის** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის და მონიტორინგის საქალაქო სამსხურის უფროსის თანამდებობაზე არჩევის შესახებ“ ქალქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

29. ფრაქცია **„ევროპული საქართველო-თბილისი“** რეგისტრაციის შესახებ განცხადება.

30. ფრაქციაში **„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“** ცვლილების შესახებ განცხადება.

31. ფრაქციაში **„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“** ცვლილების შესახებ განცხადება.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. ქალაქ თბილისის მინიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ბატონმა **გიორგი ტყემალაძემ** კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო მერის მიერ შესათანხმებლად წარმოდგენილი, ქალაქ თბილისის მთავრობის შემადგენლობა, კერძოდ; პირველი მოადგილის (ვიცე-მერის) თანამდებობაზე ირაკლი ხმალაძის(პ/ნ: 01007008811) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეების თანამდებობებზე გიგა ნიკოლეიშვილის (პ/ნ 01024011126), მაია ბითაძის (პ/ნ 01024004865) და ირაკლი ბენდელიანის (პ/ნ 01011041651), ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსის თანამდებობაზე ვლადიმერი ჭიღლაძის (პ/ნ: 01017021457), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე გივი კუბლაშვილის (პ/ნ 60001000335), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე ანდრია ბასილაიას (პ/ნ: 01031000727), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე ირაკლი გვილავას (პ/ნ:02001008433), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე სერგო ბირკაძის (პ/ნ: 57001006501), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე გაიოზ თალაკვაძის (პ/ნ: 01019005996), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე მამუკა მუმლაძის (პ/ნ: 35001002701), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე ნიკოლოზ ჭონქაძის (პ/ნ: 01010015665), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე გიგა გიგაშვილის (პ/ნ: 01017038088), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე სოფიო ხუნწარიას (პ/ნ: 01008007958), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე გიორგი პაპავას (პ/ნ: 01009015901), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე გელა ჩივიაშვილის (პ/ნ: 01002015941), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე გიორგი ბაგრატიონის (პ/ნ: 01024024024), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს რაიონის გამგებლის თანამდებობაზე გაიოზ ვასაძის (პ/ნ: 01024004727), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონის გამგებლის თანამდებობაზე დავით კირკიტაძის (პ/ნ: 01009009778), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგებლის თანამდებობაზე ლევან ჯაფარიძის (პ/ნ: 01006011682), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის გამგებლის თანამდებობაზე ნოდარ ტურძელაძის (პ/ნ: 01009017991), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგებლის თანამდებობაზე ირმა ზავრადაშვილის (პ/ნ: 01017003575), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგებლის თანამდებობაზე ზურაბ ჩიკვილაძის (პ/ნ: 65002003619), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგებლის თანამდებობაზე ბექა მიქაუტაძის (პ/ნ: 01024000884), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ნაძალადევის რაიონის გამგებლის თანამდებობაზე ირაკლი ხელაძის(პ/ნ: 01019017731), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის

რაიონის გამგებლის თანამდებობაზე კახაბერი ლაბუჩიძისა(პ/ნ: 01019002562) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგებლის თანამდებობაზე დავით კერესელიძის(პ/ნ: 01027004663) დანიშვნის შესახებ თანხმობის მიცემის საკითხი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერის) თანამდებობაზე წარდგენილმა კანდიდატმა, ბატონმა **ირაკლი ხმალაძემ** ვრცლად ისაუბრა და დეტალურად წარმოადგინა მომავალი ოთხწლიანი პროგრამის ყველა ძირითადი მიმართულება და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამის განხორციელებაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან ერთად აქტიურად იქნება ჩართული სხდომაზე დასამტკიცებლად წარმოდგენილი მთავრობის შემადგენლობა.

მომხსენებლის განცხადებით, მომავალი 4 (ოთხი) წლის განმავლობაში გასატარებელია სწორი ურბანული პოლიტიკა, რომლის შედეგადაც ასევე იგეგმება მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცება, ხოლო ისტორიული უბნებისა და არეალების რეაბილიტაციის შედეგად, გაიზრდება ეკონომიკური აქტივობა და ტურიზმზე მოთხოვნა.

მომხსენებლის თქმით, აღნიშნული საკითხებისა და მათ მიერ გატარებული ურბანული პოლიტიკის შედეგად ასევე მოიმატებს ისტორიულ უბნებში მდებარე, კერძო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ფასი, რაც თავისთავად დადებითად აისახება მოქალაქეებზე.

ბატონი **ირაკლი ხმალაძის** განმარტებით, განვითარებული სატრანპორტო სისტემის ჩამოსაყალიბებლად შემუშავებულია მომდევნო წლებში გასატარებელი სატრანსპორტო სისტემის განვითარების გრძელვადიანი გეგმა, რომლის ფარგლებშიც მოხდება 700-მდე ლურჯი, ეკოლოგიურად სუფთა ავტობუსის შემოყვანა, ასევე იგეგმება სამარშრუტო ხაზების კორექტირება და სამარშრუტო ხაზების დამატება, რათა სამარშრუტო ტაქსებით მგზავრობა გახდეს მეტად კომფორტული.

მომხსენებელმა დაამატა, რომ გეგმის მიხედვით მოხდება მეტროსადგურების რეაბილიტაცია და ასევე ახალი მატარებლების დამატება, რათა შემცირდეს მგზავრთა მოლოდინის დრო სადგურებში და გაიზარდოს მგზავრთა გადაყვანის მაჩვენებელი.

ბატონმა **ირაკლი ხმალაძემ** ისაუბრა სატრანსპორტო პოლიტიკის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხზე და განაცხადა, რომ პარკირების სისტემის მოსაწესრიგებლად მათი მხრიდან დაანონსებულია 10 (ათი) ახალი მიწისზედა და მიწისქვეშა პარკირების ინფრასტრუქტურის მოწყობა, რათა უფრო კომფორტული გახდეს მოქალაქეებისთვის ავტომობილებით გადაადგილება.

მომხსენებელმა ასევე ისაუბრა თანამედროვე გარემოს დაცვის მმართველობის დანერგვასა და ქალაქის განვითარების სხვადასხვა სტრატეგიებში გარემოს დაცვის საკითხების ინტეგრირებაზე. მისი თქმით, ურბანული პოლიტიკის განვითარების, ასევე სატრანსპორტო და ეკონომიკური სისტემების განვითრებისას აუცილებლად იქნება გათვალისწინებული გარემოს დაცვის კომპონენტები.

სოციალური პოლიტიკის მიმოხილვისას, **მომხსენებელმა** ისაუბრა ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების გაგრძელებასა ეფექტურად განხოციელების მნიშვნელობაზე როგორიცაა; უფასო მგზავრობის სისტემის, ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის კონკრეტული პროგრამებისა და ბაგა-ბაღების ვაუჩერული დაფინანსების გაგრძელება.

როგორც **მომხსენებელმა** აღნიშნა, ეკონომიკრი პოლიტიკის განვითრებისთვის მნიშვნელოვანია დედაქალაქის ბიუჯეტის გარდა აქტიურად იქნეს გამოყენებული ბიზნესის შესალებლობები.

ბატონმა **ირაკლიმ** ისაუბრა ტურიზმის ხელშეწყობისა და ღამის ეკონომიკის განვითარების მნიშვნელობაზე, ასევე ყურადღება გაამახვილა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან თანამშრომლობის აუცილებლობაზე.

აზრი გამოთქვეს:

იურიდიულ საკითხთა კომისიის წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა** მომხსენებლის მიმართ დასვა შეკითხვა და დაინტერესდა, იგეგმება თუ არა გამგეობის სოციალური ხარჯების მონიტორინგი/გადახედვა და აღნიშნა, რომ კრწანისში, სოციალური დახმარებებით ფინანსდებიან მხოლოდ პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს მომხრეები.

ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა** ასევე განაცხადა, რომ დანგრეულ სახლებზე კომპენსაციას იღებენ ადამიანები, რომელთაც არანაირი საკუთრება თბილისში არასოდეს ჰქონიათ და მაგალითისთვის მოიყვანა გამგეობის ყოფილი თანამშრომელი, ვინმე მარინა აფრიამაშვილი, რომელიც წლების განმავლობაში კრწანისის გამგეობიდან ყოველთვიურად ფინანსდება 500 (ხუთასი) ლარით.

იურიდიულ საკითხთა კომისიის წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა** შეკითხვა დასვა ასევე, ქალაქ თბილისი მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე წარდგენილი პირის, ბატონი **გელა ჩივიაშვილის** მიმართ და დაინტერესდა, იგეგმება თუ რა ფსიქიკური ჯანმრთელობის მქონე ბენეფიციარებზე მედიკამენტების დაფინანსება და ასევე იგეგმება თუ არა სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადებისა და სერვისცენტრების გაზრდა, ვინაიდან დაგვიანებით მიღებული მომსახურება იწვევს თბილისის მოსახლეობის უკმაყოფილებას.

ქალბატონი **ლილე ლიპარტელიანის** განცხადებით, ბოლო 10 (ათი) წლის განმავლობაში ქვეყანაში საგრძნობლად გაიზარდა სიღარიბის დონე და 2016 წელს მისმა პროცენტულმა მაჩვენებელმა 21,3% მიაღწია, ამ ფონზე კი მოსახლეობას უჭირს ბავშვების სახელოვნებო და სპორტულ წრეებზე ტარება რომლის სუფსიდირებაც ხდება 70 000 (სამოცდაათი ათასი) რეიტინგული ქულის მქონე სოციალურად დაუცველ ადამიანებზე. ქალბატონი ლილე დაინტერესდა ხომ არ იგეგმება აღნიშნული სარეიტინგო ქულის 100 000 (ასი ათასი) - მდე გაზრდა.

ბატონი **გელა ჩივიაშვილის** განმარტებით, 2016 წლის აპრილიდან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია ჩაერთო პროგრამაში, რომელიც ითვალისწინებს ფსიქიკური ჯანმრთელობის მქონე ბენეფიციარებზე ერთ საათიან მონიტორინგს ბინაზე, ხოლო აღნიშნული მედიკამენტების დაფინანსება ხორციელდება სხვა სოციალური დახმარების პროგრამიდან.

ბატონმა **გელა ჩივიაშვილმა** ასევე უპასუხა ქალბატონი ლილე ლიპარტელიანის მიერ დასმულ შეკითხვას და განაცხადა, რომ ბატონი კახი კალაძის წინა საარჩევნო პროგრამის ერთ-ერთი კომპონენტი, სწორედ სასწრაფო დახმარების ბრიგადების დამატება და მომსახურეობის ხარისხის გაუმჯობესება გახლავთ.

ქალაქ თბილისი მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე წარდგენილმა კანდიდატმა ასევე განაცხადა, რომ

გაზრდილია სახელოვნებო და სპორტული სკოლების დაფინანსება და ასევე საგრძნობლად არის მომატებული აღნიშნული სერვისით მოსარგებლე ბენეფიციარების რაოდენობა.

იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ბატონი **ლევან ჟორჟოლიანის** განცხადებით, სამართლებრივ აქტებთან დაკავშირებით არსებობს გარკვეული სახის შენიშვნები, რომლებიც აისახება იურიდიულ საკითხთა კომისიის შესაბამის დასკვნებში.

გადაწყვიტეს:

ქალაქ თბილისი მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი კანდიდატურების დანიშვნის შესახებ თანხმობის მიცემის საკითხს მხარი არ დაუჭირა იურიდიულ საკითხთა კომისიის წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო იურიდიულ საკითხთა კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს წარმოდგენილი კანდიდატურების თანამდებობებზე დანიშვნის შესახებ თანხმობის მიცემის საკითხების საკრებულოს სხდომაზე განხილვას მხარი.

მოისმინეს:

28. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ბატონმა **გიორგი ტყემალაძემ** ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის **N2-1** დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 32-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელის პოზიციაზე დაასახელა ბადრი გიორგიძის კანდიდატურა და წარმოადგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს:

იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა **ლევან ჟორჟოლიანმა** განმარტა, რომ **,,ბადრი გიორგიძის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე არჩევის შესახებ"** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს, მიზანშეწონილია პრეამბულაში სამართლებრივ საფუძვლად მიეითოს საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია საკრებულოს განკარგულება.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილი განკარგულების პროექტს მხარი არ დაუჭირა იურიდიულ საკითხთა კომისიის წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო იურიდიულ საკითხთა კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

1-28 საკითხებთან დაკავშირებით კითხვა-პასუხისა და დისკუსიის შემდგომ, სხვა კომისიებმა დაასრულეს სხდომა, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიამ თავმჯდომარის ხელმძღვანელობით გააგრძელა სამუშაო პროცესი იურიდიულ საკითხთა კომისიის დღის წესრიგით გათვალისრინებული საკითხების განსახილველად.

მოისმინეს:

29. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა **ლევან ჟორჟოლიანმა** კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს აცნობა, რომ მ/წლის 15 ნოემბერს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის რეზოლუციით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიაში შემოვიდა საკრებულოს წევრის გიორგი გაბაშვილის განცხადება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის **„ევროპული საქართველო - თბილისი“**-ს შექმნის თაობაზე“.

ბატონი **ლევან ჟორჟოლიანის** თქმით, იურიდიულ საკითხთა კომისიაში წარმოდგენილ წერილს თან ერთვის ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი“ წესდება, პოლიტიკური პლატფორმა და ამავე ფრაქციის სადამფუძნებლო სხდომის ოქმი, რომლის თანახმადაც ფრაქციაში „ევროპული საქართველო - თბილისი“ გაერთიანდენენ საკრებულოს წევრები: **გიორგი გაბაშვილი, დათო ჟღენტი და ელენე ოზაშვილი,** ხოლო ფრაქციის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა გიორგი გაბაშვილი, თავმჯდომარის მოადგილედ - დათო ჟღენტი, ხოლო ფრაქციის მდივნად - ელენე ოზაშვილი.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა კომისიამ მიიჩნია, რომ ფრაქციის მიერ რეგისტრაციისათვის წარმოდგენილი მასალები შესაბამისობაშია საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან.

მოისმინეს:

30. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა **ლევან ჟორჟოლიანმა** იურიდიულ საკითხთა კომისიის წევრებს აცნობა, რომ მ/წლის 16 ნოემბერს იურიდიულ საკითხთა კომისიაში შემოსული განცხადებით, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ, ირაკლი ნადირაძემ იურიდიულ საკითხთა კომისიას აცნობა, რომ ფრაქციის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით, ფრაქციის შემადგენლობაში მიღებულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი მარინა დათუკიშვილი და რომელიც ამავდროულად არჩეულ იქნა ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილედ.

იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა **ლევან ჟორჟოლიანმა** ასევე დაამატა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის #2-1 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის“ 36-ე და 37-ე მუხლების თანახმად, ფრაქციაში ახალი წევრის მიღებისა და ასევე,

ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ ფრაქციის თავმჯდომარე 3 (სამი) დღის ვადაში წერილობით ატყობინებს იურიდილ საკითხთა კომისიას.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა კომისიამ მოისმინა და ცნობის სახით მიიღო ინფორმაცია, ფრაქციაში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ საკრებულოს წევრის მარინა დათუკიშვილის მიღებისა და მისი ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილედ არჩევის შესახებ.

მოისმინეს:

31. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა **ლევან ჟორჟოლიანმა** იურიდიულ საკითხთა კომისიის წევრებს აცნობა, რომ მისივე განცხადების საფუძველზე მიღებულ იქნა ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს წევრად, ხოლო აღნიშული საკითხის თაობაზე იურიდიულ საკითხთა კომისიაში მ/წლის 17 ნოემბერს შემოსულია ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის, ბექა დავითულიანის განცხადება, რომელშიც ასახულია ფრაქციის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება, მისი ფრაქციაში მიღების შესახებ.

იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა **ლევან ჟორჟოლიანმა** ასევე დაამატა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის #2-1 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის“ 36- ე მუხლის თანახმად, ფრაქციაში ახალი წევრის მიღების შესახებ ფრაქციის თავმჯდომარე 3 (სამი) დღის ვადაში წერილობით ატყობინებს იურიდილ საკითხთა კომისიას.

კომისიის თავმჯდომარემ ასევე განმარტა, რომ ზემოხსენებული განცხადების თანახმად კომისიას ასევე ეცნობა, ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეების თანამდებობებზე გიორგი მუსხელიშვილის, ჯაბა ჯიშკარიანის და ვახტანგ შაქარიშვილის არჩევის შესახებ, ვინაიდან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის #2-1 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის“ 37-ემუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეების არჩევის შესახებ სამი დღის ვადაში წერილობით ეცნობება საკრებულოს თავმჯდომარესა და იურიდიულ საკითხთა კომისიას.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა კომისიამ მოისმინა და ცნობის სახით მიიღო ინფორმაცია ფრაქციაში „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ საკრებულოს წევრის ლევან ჟორჟოლიანის მიღებისა და ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეების თანამდებობაზე გიორგი მუსხელიშვილის, ჯაბა ჯიშკარიანისა და ვახტანგ შაქარიშვილის არჩევის შესახებ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანი

სხდომის მდივანი ნინო ჯალაღანია